სსიპ საქართველოს
კინემატოგრაფიის ეროვნული
ცენტრის დირექტორი

11 ივნისი 2024

N 141

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„კონკურსის - „სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმების წარმოების დაფინანსება“ - ფარგლებში წარდგენილი განაცხადების განხილვის მიზნით საექსპერტო კომისიის პირველი შემადგენლობის (ჟიურის) შექმნის შესახებ“ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 3 ივნისის №135 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის ბრძანება 2006 წლის 7 აგვისტოს №3/256 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის, „სსიპ – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საკონკურსო დებულებისა და საექსპერტო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის 2024 წლის 25 მარტის №05/36 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის დებულების“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებისა და სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ფილმწარმოების დეპარტამენტის ფილმწარმოების სპეციალისტის 2024 წლის 6 ივნისის №1-257 მოხსენებითი ბარათის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „კონკურსის - „სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმების წარმოების დაფინანსება“ - ფარგლებში წარდგენილი განაცხადების განხილვის მიზნით საექსპერტო კომისიის პირველი შემადგენლობის (ჟიურის) შექმნის შესახებ“ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 3 ივნისის №135 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**1.** სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომ - ეროვნული კინოცენტრი) მიერ გამოცხადებული კონკურსის - „სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმების წარმოების დაფინანსება“ - ფარგლებში წარდგენილი განაცხადების განხილვის მიზნით, შეიქმნას საექსპერტო კომისიის პირველი შემადგენლობა (ჟიური) შემდეგი შემადგენლობით:

ა) **მაია არჩვაძე** - სცენარისტი, კინორეჟისორი;

ბ) **რამაზ იოსელიანი** - მსახიობი;

გ) **ნათია გოგოჭური** - სცენარისტი;

დ) **ქეთევან ტრაპაიძე** - კინომცოდნე;

ე) **ზაზა შათირიშვილი** - კინო თეორეტიკოსი.“.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის №64).

კობა ხუბუნაია

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი